

ივანე ჯავახიშვილი

ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში

ცნობილია, რომ მსოფლიო მეცნიერება უაღრესად დაინტერესებულა ქართვლური და კავკასიური ენების ბუნებითა და მათი სხვა ენებთან, მათ შორის ხალდურ, ხეთურ და სუმერულთანაც, ნათესაობის საკითხებით, მათი თავდაპირველი საშობლოსა და მერმინდელი გადმოსახლების ისტორიით ისევე, როგორც საკვები მცენარეებისა და შინაური ცხოველების სადაურობისა და შერჩევის, დასასრულ ლითონის კულტურის ისტორიის ამოცანებითაც. ამაზე უკვე მრავალი გამოკვლევაა გამოქვეყნებული, უმთავრესად უცხოეთში, საკვები მცენარეების შესახებ-კი, აკად. ვავილოვის თაოსნობით, საბჭოთა კავშირში და თვით საქართველოშიაც. სრულებით ბუნებრივია, რომ ზემოაღნიშნული საკითხებით მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის დაწესებულებანი და ცალკეული ქართვლი მეცნიერებიც იყვნენ დაინტერესებულნი. მეტის თქმაც შეიძლება: ამ პრობლემების მეცნიერული შესწავლა ჩვენს უპირველეს მოვალეობასაც კი უნდა შეადგენდეს, რათგან ეს ენათმეცნიერული საკითხები უშუალოდ ჩვენვე გვებება, ხოლო კულტურული ისტორიის ზემოაღნიშნული ამოცანების გადასაქრელადაც პირველ-ხარისხოვანი მასალები ჩვენში უხვად მოიპოვება და შედარებით უფრო ადვილი მისაწვდომიც არის. რამდენადაც ყოველი ქვეყანა ეალდებულია მსოფლიო მეცნიერების საგანძურში თავისი წვლილი შეიტანოს, იმდენად ქართული მეცნიერებაც, საქართველოს ფილიალიცა და ცალკეული მეცნიერებიც მოვალენი არიან ამ პრობლემების შესწავლას უდიდესი ყურადღება მიაქციონ მით უმეტეს, რომ ეს ამასთანავე ჩვენი ხალხის წარსული კულტურის ახალ-ახალს ცოდნას შეგვძენს და ძველს გაგვიღრმავებს.

საშუუხაროდ, ასეთი პრობლემების შესასწავლად, სხვადასხვა გარემოების გამო, ჯერ-ჯერობით მეტად ცოტა რამე გვაქვს გაკეთებული და ამ დარგში საგრძნობლად ჩამორჩენილები ვართ. ამის ერთი მთავარი მიზეზთაგანი ის იყო, რომ ქართულ მეცნიერებას რევოლუციონდრე გზა დახშული ჰქონდა, მეცნიერ მუშაკთა სიმცირე და ყოველმხრივ გაქირვებული მდგომარეობაც ქართველ მეცნიერებს ფართო გასაქანის შესაძლებლობას უსპობდა. მას შემდგომ, განსაკუთრებით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, ქართველ მეცნიერების მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა, სათანადოდ მომზადებულ მაღალხარისხოვან მეცნიერთა რიცხვმაც თვალსაჩინოდ, იმატა, მაგრამ

ზემოხსენებული პრობლემების კვლევა-ძიებისათვის საჭირო მეცნიერ მუშაკთა სიმცირე ჯერჯერობით მაინც ხაზგარძნობია. რაც დროის ხანმოკლეობის გამო სრულებით ბუნებრივიც არის.

არ უნდა დაევიწყოთ, რომ დასახული ფართო მიზნის მისაღწევად და ამოცანების სისწორით გადასაჭრელად, ყველა ძირითადი საკითხების სხვადასხვა მხრითა და სხვადასხვა სამეცნიერო დარგის წარმომადგენელთა მონაწილეობით არის განხილვა საჭირო.

ხოლო მკვლევართა მცირერიცხოვანობისა და ამ პრობლემებზე მუშაობის მოგვიანებით დაწყების გამო, თავისთავადაც, არსებითადაც, ზემოაღნიშნული ყველა ამოცანის დროულად და ღირსეულად განსახორციელებლად უკეთესია, რომ მომავალი მუშაობის საერთო გეგმაც, გვეჭონდეს შემუშავებული და ჩვენ დაწესებულებათა და ცალკეულ მეცნიერთა შორის შრომაც უკვე ამთავითვე იყოს განაწილებული.

ქართულისა და ქართველურ ენათა მეცნიერულს კვლევა-ძიებასთან ერთად მთავარი ყურადღება ე. წ. კავკასიური ენების საფუძვლიანსა და გაღრმავებულს შესწავლას უნდა მიექცეს, თუნდაც იმიტომაც, რომ ამას უაღრესი მნიშვნელობა თვით ქართულის თავდაპირველი ბუნებისა და მერმინდელ ცვლილებათა გასაგებადაც აქვს. საქართველო უნდა ამ ენების კვლევაძიების უმთავრეს ცენტრად ვაქციოთ და ამ ენათ-ბგერების ექსპერიმენტული ფონეტიკის ზედმიწევნით მეთოდების გამოყენებით, თავისთავადი და ქართულთან შედარებითი შესწავლით, ისევე როგორც მთელი აქამდე დაგროვილი გრამატიკული, თუ ლექსიკური მასალის მკაცრი შემოწმებით, მათ მეცნიერულ შესწავლას უნდა მკვიდრი საძირკველი ჩაუყაროთ. ამ ჩვენთვის სავალდებულო ამოცანის განხორციელება არც დაუძლეველ სიძნელეს და არც სრულებით ახალს რამეს არ წარმოადგენს, რტგან ამ დარგში და ამ მიმართულებით ქართველი მკვლევარნი უკვე გვეყვანან: პროფ. გ. ახვლედიანი ექსპ. ფონეტიკაში, პროფესორები აკ. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვარ. თოფურია, ს. ჯანაშია, სტ. ჩხენკელი და სხვ. ერთ-ერთი ცალკეულ ამ ენათაგანის გრამატიკულ-ლექსიკური კვლევების სფეროში მუშაობენ და გამოსაქვეყნებელი მასალა ნაწილობრივ უკვე დაგროვილი აქვთ.

თუ წმინდა ენათმეცნიერული საკითხები, როგორიც ქართული და კავკასიური ენების აგებულება და ისტორიული, თუ შედარებითი გრამატიკა, ან და ხალღურ, ხეთურ, ელამურ, სუმერულ და მცირეაზიურ ენებთან დამოკიდებულების პრობლემებია, უეჭველია მხოლოდ ენათმეცნიერების საკვლევა-ძიებო სარბიელს წარმოადგენს, რა წამს კულტურის ისტორიის ამოცანების შესწავლას შეეუდგებით, მარტო ენათმეცნიერული გზით და მეთოდებით დასახული მიზნის სრულად მიღწევა შეუძლებელია. ამ საკითხების სირთულისა და უაღრესი პასუხსაგებობის გამო, ამ პრობლემების გადასაჭრელად მათი სხვადასხვა სამეცნიერო დარგის თვალსაზრისით განხილვა და შესწავლაა საჭირო, სხვადასხვა სპეციალობის მკვლევართა გეგმიანი, თანხმობრივი მუშაობაა აუცილებელი.

უკვე ქართველური და კავკასიელთა ტომების სადაურობისა, პირვანდელი სამშობლოსი და მერმინდელი იმმიგრაციის პრობლემების გამორკვევაში ენათ-

მეცნიერებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა, ფილოლოგობმაც და გეოგრაფი- ისტორიკოსებმაც, რატონ ამისათვის ხომ უპირველესად ძეგლი და მერპინდელი გეოგრაფიული მწერლობა სუველა ცნობების შეგროვება და კრიტიკულად შესწავლა სჭირო, ეს-კი ლერსხული წარწერების მკოდნე პირებისა, სემიტოლოგების, ბე ძნულ-ლათ ნური, ქართული და სომხური მწერლობის მკელ ვა-თა თანამშრომლობის გარეშე შეე'ლ ბელია. საკმარისია აღინიშნოს, რომ აქამდის სტრა- ბონის, პლინიუსის, პტოლემეადასის და არიანეს თხზულებების ნამდვილად კრი- ტიკული, ადგილობრივი გეოგრაფიული სახელების მართლწერას აღუდგენის მცდელობა, გამოცემა ჯერ არ არსებობს, რომ ლუ-სმული წარწერების გეოგრა- ფიული სახელების რეალური შესატყვისობა ხშირად სრულებით გამოურკვევე- ლია, რომ ებრაელთა „დაბადების“ ცნობებსაც ამ თვალსა რისით ძირი.ნად გადასინჯვა სჭირდება, აღიარა ვიტყვიტ არაბ გეოგრაფ-ისტორიკოსთა კავკა- სიის გეოგრაფიული დამახინჯებული სახელების აღუდგენლობაზე, რომ სხვა- დასხვა სპეციალობის მკვლევართა გიგმიანი თანამშრომლობის აუცილებლობა სრულებით ცხადი შიქნს. ან და განა შესაძლებელია, იმპიგრაიცია-მიგრაციის საკითხი მთლიანად თავისი სიღრმე-სიგანით ამოიწყოს ისე, რომ დმეერ-ამეერ კავკასიისა, მცირე აზიისა და მახლობელ აღმოსავლეთის გეოგრაფიული ნომენ- კლატურა ქართვ ლურ-კავკასიური ენების მკოდნე პირების მონაწილეობით საფუძვლიანად შესწავლილი არ იყოს?

კაცობრიობის უძველესი ნათიერი კულტურის ისტორიის უმთავრეს საკითხ- თაგანს გარეული ცხოველებისა და ველური მკ ნაჩეების, ხეხილის თანდათანო გამინაურება-გაკეთილშობილება, ლითონის დამუშავების ღონეობის მიგნება და ხელოვნების შექმნა შეადგენს. დიდი ხანია, რაც ამ პობლებების გამოკვეყნის დროს მსოფლიო მეცნიერების უჭადლობა კავკასიის, მცირე აზიისა და მახლო- ბელი აღმოსავლეთის ძველი მოსახლეობისადმი იქნა მიპყრობილი. არა ე-თი. საკითხი უკვე საკმაოდ არის გამოკვეული, მაგრამ მრავალი პირველხარისხოვანი საკითხის გადაჭრა მეცნიერებას ჯერ ვერ მოუხერხებია, რათგან ზემოდასახ ლე- ბული ქვეყნები ამ თვალსაზრისით ან სათანადოდ შესწავლილი არ არის, ან და სრულებით ხლუხლ ბელია. მსოფლიო მეცნიერებას უფლება აქვს ამ ნაყლის შეესება ჩვენ, ამ ქვეყნების მეცნიერთ, მოგვთხოვოს. ცხადია, რომ ეს ჩვენი მოკალეობა უნდა პინათლად შევასრულოთ.

ვიქტორ ჰენ-ის შეხედვით, ანც ერთი მეცნიერი კულტურული მცენა- რიებისა და შინაური პარუტყვის ისტორიას იმ მრავალმხრივი წყაროების გამო- ყენებით, როგორც ამ მკვლევარმა იცოდა, აღარ შექნებია. ო. შრადერიმა, ვით რი ენათმეცნიერმა, ამ შესანიშნავი გამოკვლევის უკანასკნელი გამოცემი- სათვის თანამშრომლებად ორი გამოჩენილი გირმანილი პალეობოტანიკოსი მოი- შვე-ია და მათი დაწარითი ცნობები ჰენ-ის ნაშრომს მრავალნაირად ავსებს და ბევრგან ასწორებს კიდევ. რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგია. მაგრამ აქაც წერილობითი და ბოტანიკური ცნობები ისევე, როგორც შრადერის მიერ და- მატებული ენათმეცნიერული მოსაზრებანი მაინც ცალცალკეა და ამ საკითხების ზოგადი ყოველმხრივი განხილვა, ურთულდება ამ პობლების შემდგომად გადაწყვეტა შეუძლებელია, ჯერ არ მოგვეპოვება.

ეს იმ გარემოებითაც აიხსნება, რომ ჩვეულებრივ ენათმეცნიერნი მხოლოდ სიტყვების ლინგვისტიკური ანალიზით არიან ხოლმე დაინტერესებული და ამ სახელების ზოგადი მნიშვნელობის გათვალისწინებით კმაყოფილდებიან, ბოტანიკოსები და ძოოტექნიკოსები-კი თავიანთ მხრივ მხოლოდ მათი ბოტანიკური, თუ ძოოლოგიური რაობის ზედმიწევნით გამოკვლევის დროს უმეტესად ლათინური ტერმინოლოგიის გამოხატვას ეტანებიან, საკულევაძიებო ობიექტების ადგილობრივ სახელებს კი ან არაავითარს, ან და ძალიან მცირედ ყურადღებას აქცევენ. ცხადია, რომ ამ გზით სრული კემშარიტების გამოკვლევა ძნელია. მეტიკ ითქმის: შეთანხმებული, გეგმიანი მუშაობის გარეშე კულტურის ისტორიის ესოდენ დიდი და პასუხსაგები პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელიც კია. ამიტომაც ჩვენი მთელი მუშაობა სწორედ გეგმიანს, შეთანხმებულს მუშაობაზე უნდა იყოს დამყარებული: ბოტანიკოს-აგრონომებმა და ძოოტექნიკოსებმა ობიექტების შესწავლისთანავე უნდა უეჭველად მათ ადგილობრივ სახელებსაც, ამ სახელების გავრცელების საზღვრებსა და მიმართულებასაც მიაციონ ჯეროვანი ყურადღება და ყველაფერი სისწორით აღნუსხონ ხოლმე, ენათმეცნიერებსა და წერილობითი წყაროების მკვლევართაც უნდა ყოველთვის ახსოვდეთ, რომ სახელების ანალიზისათვისაც ამჟამად რეალურს მნიშვნელობას, ბოტანიკურს, თუ ძოოლოგიურს რაობას ანგარიში უნდა გაეწიოს. ზოგჯერ უკვე თვით სახელის შინაარსი და მისი საჯაურობა, მისი გავრცელების არე ამა თუ იმ მცენარისა, თუ ცხოველის სადაურობას, გაშინაურებისა, თუ შეთვისების ხანას სწყვეტს. არა ერთხელ ბოტანიკური, თუ ძოოლოგიური სახესხვაობითი თვისების გათვალისწინება მკვლევარს თვით სახელის თავდაპირველი მნიშვნელობის გაგებასა და ლინგვისტიკურს ანალიზს გაუადვილებს.

პირველი მცენარეები ჩვენში პროტესორების დეკაპრელევიჩისა და იულ. ლომოურისა, დოც. ვ. მენაბდისა, ნ. კეცხოველისა, ვალ. სუპატაშვილისა, ალ. მაყაშვილისა და გ. აბესაძის ნაშრომების წყალობით ბოტანიკურად საკმაოდ კარგადაა შესწავლილი, მაგრამ არა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ჯერ კიდევ გამოსარკვევია. ბოსტნეულობისა და მღებულობის დარგები-კი ამ მხრივ ჯერ თითქმის ხელუხლებელია. მევენახეობაშიც კვლევა-ძიება პოფ. ს. ჩოლოყაშვილისა და მისი მოწაფეების მიერ დაწყებულია, მაგრამ უდიდესი მუშაობა ჯერ კიდევ გასაწევია.

საქართველოს შინაურ მსხვილფეხა პირუტყვთაგან განსვ. ნ. იოსელიანისა და მისი თანამშრომლების წყალობით საფუძვლიანად ჩვენებული ფური, კაშეჩი და ნაწილობრივ ცხე რია შესწავლილი, მაგრამ შეკრებილი ცნობებისა და დაკვირვებათა უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი დევს. სრულებით შესწავლულია ცხენი და თხა. მაგრამ ისიც, რაც შესწავლილია, ეხლანდელი საქართველოს საზღვრებს არ სცილდება, შინაური ცხოველების წარმოშობილობისა და შერჩევა-გაუმჯობესების ისტორიისათვის-კი ჩვენ აუცილებლად ჩრდილო კავკასიის და მცირე აზიის მესაქონლეობის ჯიშებრივი რაობის ცოდნაც გვჭირდება: ამ მხრივ კი ჯერ არაფერია გაკეთებული.

ვიწროდ შემოთარგლული ნიეთიერი კულტურის სფეროში მთელი ჩვენი ცოდნა ლითონის, თიხისა და სხვ. მასალისაგან გაკეთებული საგნების შესახებ. შესაძლებელია ითქვას, თითქმის მხოლოდ შემთხვევით აღმოჩენილს მასალაზეა დამყარებული და, ამისდა მოუხედავად, კულტურის ისტორიის არა ერთი პირველ-ხარისხოვანი საკითხია უკვე წამოყენებული. შემთხვევითობის წყალობით აქამდე განათხარებში ნაპოვნი საკვები მცენარეებისა და ცხოველების ნაშთებს თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. რა თქმა უნდა, რომ ამნაირად მოპოვებულსა და ასეთს მასალაზე მჯელობისა და ზოგადი საკითხების გადაწყვეტის დროს შეცდომების თავიდან აცილებაც ძნელია და მოპოვებული შედეგისა და დასკვნის ურყევ დებულებად მიჩნევაც შეუძლებელია. ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რომ ამიერიდან არქეოლოგიური კვლევა-ძიება გარკვეული გეგმისა და მიხედვით, ისტორიული სააღმკვეთებო გზების მიმართულებითა და გზათა შესაყარების გათვალისწინებით, ძველი ყველა ისტორიული ცნობების ცოდნითა და კულტურის ისტორიის მთავარი ამოცანების გადასაჭრელად ყველა მასალებისადმი ჯეროვანი ყურადღების მიპყრობით წარმოებდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ის საკმაოდ მდიდარი მასალაც, რაც აქამდე მოპოვებული, ჯერაც სათანადოდ შესწავლილი არ არის, რაც ჩვენ არ გვეპატიება.

რამდენიმე მაგალითი საკმარისი იქნება იმის დასარწმუნებლად, თუ რამდენად უფრო საგულისხმო შედეგისა და მტკიცე დასკვნის მოპოვება შეიძლება, როდესაც ერთიდაიგივე საკითხი სხვადასხვა სპეციალობის თვალსაზრისით არის ხოლმე განხილულ. საქართველოს ეკონომიური ისტორიის I² წიგნში თავმოყრილი მაქვს ყველაფერი, რაც ბოტანიკოს-აგრონომებს პურეულის, იფელის, დიკის, ასლის, ზანდურის, მახას და სხვ. შესახებ დაკვირვებისა და ცდების საშუალებით გამორკვეული ჰქონდათ. მაგრამ მათი დასკვნა ბუნებრივად ბოტანიკისა და აგრონომიის არეს არ სტყიდებოდა და ამიტომაც არაერთხელ კულტურის ისტორიისათვის პირველხარისხოვანი პრობლემები, როგორც მათი ნამდვილი ადგილობრივი ძველი და თანამედროვე სახელები, მათი სადაურება და მათი ხნიერება-გაჩენის საკითხებია, გამოურკვეველი დარჩა. ქართულ ძეგლებში და უცხო წყაროებში გაფანტული ცნობების ცოდნა და გათვალისწინება და პურეულის სახელების ანალიზმა კი ზემოაღნიშნული გაურკვეველი საკითხების გამორკვევა გაგვიადვილა. ისევე როგორც ბოტანიკოსებს უისტორიკოსოდ ამ პრობლემების გადაჭრა არ შეეძლოთ, ცხადია, ისტორიკოსიც თავის ამოცანის გადაწყვეტას ვერ მოახერხებდა, ბოტანიკოს-აგრონომებს რომ პურეული წინასწარ ბოტანიკურად საფუძვლიანად შესწავლილი არ ჰქონოდათ და ისტორიკოსს მათ მიერ მოპოვებული ცნობების გამოყენების საშუალება არ ჰქონოდა. პროფ. დეკაპრელევიჩსა და ე. მენაბდეს გამოთქმული ჰქონდათ მოსაზრება, რომ მახა საქართველოში ერთი უძველესი პურეულთაგანი უნდა იყოს და საქართველოს ეკონომიური ისტორიის I² წიგნში ეს მათი მოსაზრება სრულებით სამართლიან დებულებად მაქვს მიჩნეული. ქართველი ერის ისტორიის შესავალი-ს მე-III წიგნში, რომელსაც დასაბუქდად ვამზადებ, აღნიშნულია, რომ პურეულის ეს სახელი მართლ საქართველოში-კი არ არის გავრცელებული, არამედ ქანედითგან მოყოლებული ჩრდილოეთ კავკასიაში. დაღისტანში და სხვაგანაც მოიპოვება.

უკვე ეს გარემოება ამ პურეულს განსაკუთრებული ყურადღების ღირსად, ხდის და ამ საკითხის გამოსარკვევად ბოტანიკოსების, ენათმეცნიერებისა და არქეოლოგ-ისტორიკოსების შეთანხმებული კვლევა-ძიება უეჭველია ფრიად საგულისხმო შედეგს მოგვცემდა.

ეხლა რომ შინაური ცხოველების ისტორიის ამოცანებს შევხვით, ცნობილია, რაოდენი მნიშვნელობა აქვს კულტურის ისტორიისათვის ცხენის მოშინაურების საკითხს. დიდიხანა უკვე გამოარკვეულია, რომ ცხენი ადამიანის მეურნეობაში შედარებით უფრო მოგვიანებით გაჩნდა.

სუმერებს და სხვა ტომებსაც უძველეს ხანაში ვირი ჰყავდათ, ცხენი კი არა და პროფ. ფრიც ჰომმელს ჰქონდა უკვე აღნიშნული, რომ ცხენის სუმერული სახელი „მთის ვირსა“ ჰქონდა. ე. ი. რომ ცხენის სახელი თავდაპირველად ვირის სახელთან ყოფილა დაკავშირებული. მრავალი ენის ლექსიკური მასალა იყო გამოყენებული სხვადასხვა მეცნიერთა მიერ ამ მნიშვნელოვანი ამოცანის, ცხენის სადაურობისა და გაჩენის ხანის გამოსარკვევად, ქართველური და კავკასიური ენების მასალებს გარდა. უცილობელ კეშმარიტებად-კი ითვლება, რომ ვირის ბერძნული სახელი - ὄνος - ბერძნული სიტყვა არ არის, არამედ იგი რომელიღაც აზიური ენითგანაა შენათვისები.

ამ საკითხის განხილვის დროს არავის ყურადღება არ მიუქცევია იმ საგულისხმო გარემოებისათვის, რომ ძველ ქართულში მე-IX ს-მდე ცხენს ჰუნე ეწოდებოდა, რომელსაც მონათესავენი ჩრდილო კავკასიის ზოგს ენაშიც მოეპოვება და რომელიც უეჭველია იგივე სიტყვაა, რაც ბერძნულში აზიური ენითგან შეთვისებული ვირის სახელი, ὄνος-ია. ცხადი ხდება, რომ სუმერულის მგავსად, ქართულშიც ცხენის სახელი ვირის სახელთან ყოფილა თავდაპირველად დაკავშირებული. ამის შემდგომ არა მგონია ვისმე უსაფუძვლო მოსაზრებად ეჩვენოს, თუ ვიტყვით, რომ ქართულ-კავკასიური მასალების გამოყენებაც ამ პრობლემის განხილვის დროს აუცილებლად საჭიროა. ამისთვის-კი ცხენისა და ვირის ჯიშების მოლოგოური შესწავლაც, ლინგვისტიკური, ისტორიულ-არქეოლოგიური ყველა ცნობებისა და ფაქტების დაგროვებაც არის აუცილებელი. განა ძველი კლდანი და თუშური ცხერის ურთიერთობისა და გაჩენის ამოცანა, ან და თუნდაც ჩვენი ნაგაზის საუცხოვო ჯიშის საკითხი-კი უაღრესად საყურადღებო არ არის? აქაც, ყველა ამ ამოცანის გადასაჭრელად გვგმინს, შეთანხმებულს კვლევა-ძიებას გვერდს ვერ აწუხებთ.

ერთი მაგალითიც წარმართულ თქმულებათა და ზნეჩვეულების ისტორიითგან იმის ცხად-საყოფელად, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა შესაძლებელია ჰქონდეს ძველი ხეთური წყაროების ცნობების გამოყენებას ქართული მასალების გასაგებად. „ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნის პესამე გამოცემაში გამოარკვეული მაქვს, რომ ქართულ წარმართობის ხანის შილიერება-ნაყოფიერების ღვთაების ანარეკლი „ადრეკილაჲ“-სა და „მელჲ ტელეფიაჲ“-ს სევანურსა და ყვენობის ქართლ-კახურს ჩვეულებებშია დაცული. იქ გამოთქმული მქონდა მოსაზრება, რომ, თუმა „ადრეკილაჲს“ ფერხული და საგალობელის სიტყვები „ადრეკილაჲ წაგვივიდა და მოგვივიდა“ ამჟამად „მელჲ ტელეფიაჲს“ წესისაგან სრულებით დამოუკიდებელია, მაგრამ წინათ, „ადრეკილაჲს“ ფერხული და

საგალობელის სიტყვები „ადრეკილაჲ წაგვივიდა და მოგვივიდა“ უკვეელია „მელაჲ ტელეთიაჲს“ დღესასწაულის ერთი ნაწილთაგანი უნდა ყოფილიყო (გვ. 59 და 63). მხოლოდ „ქართულ ერის ისტორიის“ I წიგნის გამოქვეყნების შემდგომ, მოგვიანებით მოსული, 1928 წ. დაბეჭდილი „Indogermanisches Jahrbuch“-ის წიგნში მოთავსებული წერილითგან შევიტყუე, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის 14 საუკუნით უწინარესი, ბერლინში 1926 წ. დაბეჭდილი, ხეთური ლურსმული საბუთებით შესაძლებელია „ქართული ერის ისტორია“-ში გამოთქმული ზემომოყვანილი მოსაზრების სრული კეშმარიტება უკვე ურყევად დაშტეოდეს. სახელდობრ „Keilschrifturkunden aus Boghasköi“ (Heft. XIV, XVII, Berlin Vorderasiatische Abteilung der Staatlichen Museum, 1926) „ბოლახქოჲს ლურსმულ-დაშწერლობიანი საბუთები“-ს მე-14—17 ჩვეულში დაბეჭდილია ქ. წ. მე-XIV ს. თქმულება, რომელშიაც მოთხრობილია, თუ როგორ წავიდა ღვთაება ტელეთინუში და ამის გამო გაქრა მოსავლის აღმოცენება და ნაყოფიერება და როგორ დაბრუნდა ბოლოს იგი და უმაღ ალღჲ მანამდე მიმქრალელები აღმოცენება-ნაყოფიერებაც. ცხადია, რომ „ადრეკილაჲს“ თერხულის სიტყვები „ადრეკილაჲ წაგვივიდა და მოგვივიდა“ და „მელაჲ ტელეთიაჲ“ სწორედ ამავე ნაყოფიერება-შვილიერების ღვთაების ტელეთინუშის წასვლისა და მოსვლის მომთხრობელი საგალობელის ამოძახილია. ამგვარად, მე-20 საუკუნის დამდეგამდე საქართველოში დაცულს ხალხურ ზნე-ჩვეულებასა და ამ წარმართულ საგალობელს უკვე ამ 33 საუკუნის წინათ ხეთების მიერ აღბეჭდილი რწმენისა და თქმულების ანარეკლი დაუცავს.

რასაკვირველია, ეს საუცხოო ცნობა მაშინვე „ქართულ ერის ისტორიის“ შესავლის მესამე წიგნისათვის გამოვიყენე და ჩემს ხელთნაწერში შევიტანე იმ იმედით, რომ უნივერსიტეტის წიგნსაცავი თვით ამ გერმანულს გამოცემასაც გამოიწერდა და მიიღებდა და მაშინ საშუალება მექნებოდა, ამ საუკრადლებო საკითხზე უკვე პირველ წყაროზე დაყრდნობით უფრო დაწვრილებით შემსჯელა. მაგრამ, მგონია უამისოდაც ცხადი უნდა იყოს, თუ რამდენად აუცილებელია ჩვენთვის ხეთური, სუმერული და ხალდური წყაროებისა და მასალების გამოყენება ქართულ კულტურის ისტორიის შესწავლისა და აღდგენისათვის. ასეთი სხვა მაგალითებისაღწე ბლომად შეიძლება დასახელება, მაგრამ ვგონებ ეს საკმარისი უნდა იყოს.

ამგვარად, ჩვენ წინაშე კულტურის ისტორიის პირველხარისხოვანი ამოცანების ფართო ასპარეზია გადაშლილი, რომელთა შესასწავლად და გამოსარკვევად ეხლაც საკმაოდ უხვი და მრავალმხრივი მასალა მოგვეპოვება. მომავალში ხომ უფრო მეტია მოსალოდნელი. მართალია, საქართველოს მეცნიერნი ჯერ საკირო რეცხუმრავლობით არ მოიპოვებიან, მაგრამ ვინცა გვყავს, მათი ერთად თავმოყრითა, წინასწარ შემუშავებული გეგმისადა თანხმად შესწავლილი საკითხების მიზანშეწონილად განაწილებითა და მათი ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა სპეციალობის თვალსაზრისით განხილვით, დასახული ამოცანის პირნათლად შესრულებაც შეიძლება და ქართულ მეცნიერებასაც კაცობრიობის მეცნიერების საგანბურში თავისი წვლილის შეტანის საშუალებაც ექნება. რა თქმა უნდა, თუ უცხოეთითგან საკირო ლიტერატურის მიღებისა და დაწერილ

გამოკვლევათა გამოჭეყნებისათვისაც ხელშემწყობი პირობებითაც ფილიალი უზრუნველყოფილი იქნება.

ზემოაღნიშნულის შემდგომ მოქმედების უახლოესი გეგმა მოკლედ ასე შეიძლება დაისახოს და მთელი მუშაობა შემდეგნაირად უნდა დაიყოს:

I. წმინდა ენათმეცნიერული ამოცანები ქართველური და კავკასიელთა ენების ბუნებისა, ნათესაობისა და ხალღურ-ხეთურ-სუმერულ ენებთან დამოკიდებულების გამოსარკვევად.

II. კულტურის ისტორიის საკითხები:

1. ქართველებისა და კავკასიელთა თავდაპირველი სამშობლო და გადმოსახლების ისტორია.

2. საკვები და საკმელე მცენარეებისა და ხილ-ხმლის სადაურობის საკითხები.

3. მსხვილფეხა და წვრილფეხა შინაური ცხოველების სადაურობისა და მოშინაურება-შერჩევის ისტორიის გამოსარკვევი ამოცანები.

4. ლითონის გამოყენებისა და ქედვა-ჩამოსხმის ხელობის გაჩენის თავდაპირველი კერა და გავრცელების გზები.

5. ქართველთა და კავკასიელთა უძველესი გონებრივი და ნივთიერი კულტურის (მათ შორის მუსიკისაც) ისტორიის დანარჩენი საკითხები.

III. უპირველესად უნდა გამოირკვეს ამაირი საკითხების გასაშუქებლად განკუთვნილი და უკვე გამოსაცემად დამზადებული ნაშრომების რიცხვი და მოცულობა, რომ მათ გამოცემაზე ვიზრუნოთ.

IV. წმინდა ენათმეცნიერული ამოცანების კონკრეტული დანაწილება მკვლევართა შორის ენის სექტორს დაევალოს.

V. კულტურის ისტორიის ამოცანები ოთხ მთავარ ჯგუფად გაიყოს:

1. კულტურულ მცენარეთა ისტორიის საკითხები.

2. შინაურ ცხოველთა ისტორიის საკითხები.

3. ლითონის და ნივთიერი კულტურის ისტორიის საკითხები.

4. ქართველთა და კავკასიელთა თავდაპირველი სამშობლოს, გადმოსახლების და უძველესი მსოფლმხედველობის ისტორიის საკითხების ჯგუფი.

VI. კულტურის ისტორიის ამოცანების სხვადასხვა სპეციალობათა შორის განაწილებისა, მუშაობისათვის ხელის შესაწყობად, კვლევა-ძიების მიმდინარეობის საცოდნელად, სხვადასხვა სპეციალობის დარგის მკვლევართა შორის კონტაქტის გასაადვილებლად და დამზადებული ნაშრომების გამოცემაზე მზრუნველობისათვისაც აკადემიის ფილიალის პრეზიდენტთან სათანადო ორგანო უნდა მოეწყოს.

VII. სპეციალობათა შორის ამოცანების განაწილების შემდგომ, კონკრეტული საკითხების მკვლევართა მიერ არჩევა-განაწილების მოგეარება სათანადო სპეციალობის სექტორებს, ანდა დაწესებულებებს დაეკისროთ, რომელთაც, როგორც განაწილების შედეგი, ისევე მუშაობის მიმდინარეობის შესახებ უნდა პრეზიდენტთან მყოფ ორგანოს აცნობონ ხოლმე.

VIII. რაკი ეს გეგმაცა და სამუშაოც, ცხადია, ერთი და ორი წლის საქმე არ არის, არამედ შესაძლებელია მხოლოდ თანდათანობითა და საფუძვლიანი კვლევა-ძიების გზით განხორციელდეს, ამიტომ უნდა გადაწყდეს, თუ რომელი ამოცანები როგორის თანდათანობით იქნეს შესწავლილი.